საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს,
ბატონ გივი მიქანაძეს

ბატონო მინისტრო,

საქართველოს პრემიერის, ბატონი ირაკლი კობახიძის 2024 წლის 19 მარტის შემდეგი სიტყვებით „დღევანდელ მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის განვითარების გარეშე გლობალურ კონკურენციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება შეუძლებელია“ გამოკვეთილი სამთავრობო პოლიტიკის და ბატონი ბიძინა ივანიშვილის საპატიო თავმჯდომარეობით მოქმედი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 2024 წლის 26 ოქტომბრის საარჩევნო მოწოდების „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“ შესაბამისად და, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის 2025-2029 წლების საბიუჯეტო სამოქმედო გეგმის საფუძველზე (იხილეთ https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf მისამართზე განთავსებული პროექტი) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, რითაც, თამამად შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადაიდგა ქართული და აფხაზური ენებისა და კულტურების დაცვა-განვითარების, ქართულ და აფხაზურ ენებში ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ამომწურავი გადაწყვეტების მოძიების, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისა და მშვიდობიანი გზებით საქართველოს გაერთიანების მიზნების მიმართულებით.

საქმე ისაა, რომ სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დაფუძნების მთავარი მიზეზი არის ის, რომ, დღეს, სანახევროდ ამოქმედებულ ციფრულ ეპოქაში ანუ, რაც თითქმის იგივეა, ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მათემატიკური თვალსაზრისებითა და მეთოდებით არასაკმარისად შესწავლილი საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენა - ქართული და, მით უფრო, საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა - აფხაზური ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა შორისაა მთელ რიგ სხვა ევროპულ ენებთან ერთად, რისი მთავარი მიზეზიც ის უკუსვლებია, რაც განიცადა საქართველოს სახელმწიფო ენების დაცვის მიზნებმა ე.წ. ნაციონალური მოძრაობის ანტიქართული მმართველობის პერიოდში (იხილეთ https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf მისამართზე განთავსებული ღია წერილი).

ამასთან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ახლად დაფუძნებული ინსტიტუტის მთავარი მიზანია ქართული და აფხაზური ენების დაცვა და საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, რაც, ცხადია, აუცილებლობით ითხოვს სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინებისა“ და ამ „ტვინებით“ ტექნოლოგიურად სრულად უზრუნველყოფილი ChatGPT-ის მსგავსი ქართულ-აფხაზური შიდა ქსელის ანუ ინტრანეტის შემუშავებას, რომლის ერთადერთი მმართველი და მესაკუთრე იქნება თბილისი და სოხუმი ანუ მშვიდობიანად გაერთიანებული ქართული სახელმწიფო.

ამგვარად, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისიდან „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ ამოქმედება განპირობებულია ქართული და აფხაზური ენებისთვის იმ სასიცოცხლო მნიშვნელობების მქონე გამოწვევებით, რომელთა წინაშე ჩვენი ერი ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ეკონომიკის კარს მომდგარმა ეპოქამ დააყენა და, ამდენად, ბატონო მინისტრო, ამ ყველაფრისა და, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ვიცი იმ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე, რაც უკვე გადადგა სამინისტრომ ნაციონალური მოძრაობის დროს დაკნინებული ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გასაძლიერებლად, გთხოვთ მიღებას, რათა თქვენი მხარდაჭერით გასწორდეს 2026 წლის საბიუჯეტო პროცესისას სტუ „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან“ მიმართებაში

უნებლიედ დაშვებული უხეში მექანიკური შეცდომა, რის შედეგადაც ნაცვლად იმისა, რომ ინსტიტუტის 2025 წლის სახელფასო ფონდი გაზრდილიყო 10%-ით, შემცირდა 41466 (=131616 – 90150=41466) ლარით ანუ თითქმის 32%-ით! - საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, სამინისტროში 2025 წლის წლიურ სახელფასო ფონდად აიღეს 2025 წლის 7.5 თვის სახელფასო ფონდი ანუ 82262 ლარი (იხ. https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf მისამართზე განთავსებული პროექტის 43-ე გვერდი), ეს გაზარდეს 10%-ით და 2026 წლის სახელფასო ფონდად დასვეს 90488 ლარი, რაც, როგორც აღვნიშნე, 2025 წლის სახელფასო ფონდზე ანუ 131616 ლარზე 41466 ლარით ნაკლებია!

ბატონო მინისტრო, წინამდებარე წერილით გთხოვთ დახმარებას აი ამ ზემოწარმოჩენილი მექანიკური შეცდომის გასწორებაში, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალში ჩაიყრება 2025 წელს ამ სრულიად ახალი ინსტიტუტის ფორმირების მიზნით განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები! - მხედველობაში მაქვს:

1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შერჩევის მიზნით ჩატარებული ღია კონკურსი;

2. ინსტიტუტის დირექტორისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების არჩევის მიზნით ჩატარებული ღია კონკურსი;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატისა და აკადემიური საბჭოს წევრების შერჩევის მიზნით ინსტიტუტში და უნივერსიტეტში ჩატარებული საარჩევნო ღონისძიებები;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის მიერ 2025 წლის უკვე დამტკიცებული საშტატო განრიგი. - აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სწორედ ამ დაკორექტირებულმა საშტატო განრიგმა მოგვცა საშუალება 6 თვიანი ძიების შემდეგ მიგვეკვლია აფხაზური ენის სპეციალისტისთვის, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მოგვცა პირველი ნაბიჯები გადაგვედგა:

ა) ინსტიტუტის ვებ-გვერდის აფხაზური ვერსიის მომზადების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აუცილებელი დათბობის ეროვნული მიზნების გათვალისწინებით;

ბ) ქართული და აფხაზური ენებისა და აზროვნებების მათემატიკური თეორიის სემინარის აფხაზური ნაწილის ორგანიზების მიმართულებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია სამომავლოდ აუცილებელი აფხაზური კომპიუტერული „ტვინის“ შემუშავების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით;

5. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი და, აგრეთვე, იოანე ზოსიმეს ხელნაწერის "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" საქართველოში საბოლოოდ დავანებისადმი მიძღვნით დაგეგმილი:

ა) მეორე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს სახელმწიფო ენები ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ეკონომიკის ეპოქაში - კულტურული და ტექნოლოგიური ასპექტები“, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან უკვე შეთანხმებული გეგმის შესაბამისად გაიხსნება 2026 წლის მსგეფსის კვირაში, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, მოწოდებით „ქართული და აფხაზური ენებით, კულტურებითა და ტრადიციებით მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველოთი მომავლის კულტურულ სამყაროში“;

ბ) მესამე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს სახელმწიფო ენები ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ეკონომიკის ეპოქაში - კულტურული და ტექნოლოგიური ასპექტები“, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული წესის შესაბამისად გაიხსნება 2026 წლის 27 ოქტომბერს, აფხაზური ენის დღეს, მოწოდებით „ქართული და აფხაზური ენებით, კულტურებითა და ტრადიციებით მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველოთი მომავლის კულტურულ სამყაროში“;

6. ასევე, ასეთ შემთხვევაში, შეფერხდება აგრეთვე მთავრობის მიერ მხარდაჭერილი საინსტიტუტო პროექტით დაგეგმილი მეტად მნიშვნელოვანი მიზნობრივი პროცესები, რომელთა შორისაა:

ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში ინსტიტუტის „ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილებისა“ და „ქართული და აფხაზური ენობრივი

რესურსებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის“ ფუნქციონირებისთვის 2025 წელს გამოყოფილი და უკვე „გარემონტებული“ ფართის სასემინაროდ და სალაბორატორიოდ ვარგის ფორმაში რაც შეიძლება დროული მოყვანა-მოწესრიგება;

ბ) ჟურნალის „ლოგიკა, ენა და ხელოვნური ინტელექტი“ შემდეგი ნომრების გამოცემა;

გ) „ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის“ სამსაფეხურიანი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამის დაფუძნება-ამოქმედება;

დ) ქართული ენის ლოგიკისა და ლოგიკური გრამატიკის უკვე შემუშავებული საფუძვლების გაღრმავების დღეს უკვე მიმდინარე საინსტიტუტო კვლევითი პროცესი, რაც დაუშვებელია როგორც ქართული კომპიუტერული „ტვინის“ შემუშავების აუცილებლობების გათვალისწინებით, ისე მთავრობის მიერ უკვე დაგეგმილი სასკოლო და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო რეფორმების მიზნების გათვალისწინებით, რადგან დროა უკვე ქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებს ვასწავლოთ ქართული ენის ლოგიკის სასაფუძვლო და გაღრმავებული კურსები, რის გარეშეც, ცხადია, ძლიერ გაჭირდება ღრმად და დამოუკიდებლად ანუ, რაც თითქმის იგივეა, ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობების აღზრდა!!!

და ბოლოს, ბატონო მინისტრო, ხაზი მინდა გავუსვა შემდეგს: თუ არ ჩავთვლით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსს როინ მეტრეველის მხარდაჭერით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2003 წლიდან „ჩარეცხვამდე“ ანუ გაუქმებამდე ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოსს დავით გურგენიძის უწყვეტი და მრავალწლიანი მხარდაჭერის შედეგად სტუ-ში დაფუძნებული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ ერთადერთია იმ გაგებით, რომ არსად სხვაგან, არც საქართველოში და, ცხადია, არც საქართველოს ფარგლებს გარეთ, არც არსებობდა და არც არსებობს არცერთი სხვა ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მიზნობრივად პირდაპირაა მიმართული ქართული და აფხაზური ენებისა და აზროვნებების სრულად იზომორფული მათემატიკური თეორიების შემუშავებისა და სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ კონსტრუირების ეპოქალური მნიშვნელობების მქონე ამოცანებზე, რაც ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების ჭრილში ფართოდ გასაგებს ხდის ამ ინსტიტუტის სტრატეგიულ მნიშვნელობებს დღეს კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქის მიჯნაზე. - ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ იხილეთ https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf მისამართზე განთავსებული ღია წერილი „მამული, ენა, სარწმუნოება“ და, აგრეთვე, https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf მისამართზე განთავსებული მეუფე დავით ალავერდელის შეწევნითა და პატრიარქის კურთხევით გამოცემული 2009 წლის ნაშრომი „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“.

ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერთა საბჭოს წევრი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, სტუ ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი კონსტანტინე ფხაკაძე

წერილი ჯერ ადრესატამდე არ მისულა, რაც განპირობებულია სტუ-სა და თსუ-ს გაერთიანების თაობაზე 29 იანვარს გაკეთებული განცხადებით გამოწვეული დაბნეულობით.

2026.01.31.